

# სასუქების ადგილობრივი ინდუსტრიის ზოგადი შეფასება საქართველოში



საქართველოს  
კონკურენციის  
ეროვნული სააგენტო

თბილისი, 2022

## სარჩევი

<i>A. შესავალი</i> .....	3
<i>B. შეფასების მეთოდოლოგია</i> .....	4
შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი.....	4
ადგილობრივი ინდუსტრია .....	5
იმპორტიორი კომპანიები.....	5
ექსპორტიორი ქვეყნები .....	6
ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება .....	7
საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი .....	8
ინფორმაციის წყაროები.....	8
<i>C. სასუქების სექტორი საქართველოში</i> .....	8
სასუქების ადგილობრივი წარმოება.....	8
ადგილობრივი მწარმოებლების ექსპორტი .....	10
სასუქების იმპორტის ანალიზი.....	15
<i>D. ზიანის დადგენა</i> .....	19
დემპინგური იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა .....	19
ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენები .....	22
<i>E. საერთაშორისო ტენდენციები სასუქების ინდუსტრიაში</i> .....	26
<i>F. დასკვნა</i> .....	31

## A. შესავალი

2021 წლიდან ამოქმედდა ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებისა და დებულებების შესაბამისად, ადგენს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური იმპორტის დროს ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების ძირითად პირობებსა და წესებს.

კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის შემთხვევაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა, რომელსაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც შესწავლის ორგანო ახორციელებს.

ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლა კომპლექსური პროცესია და იგი მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის დადგენას - უშუალოდ დემპინგური იმპორტის, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგურ იმპორტსა და ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის ანალიზს. თავის მხრივ, აღნიშნული სამი ელემენტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის დადგენა, რომელიც შესწავლის წესით განსაზღვრული 15 კრიტერიუმის შეფასების გზით ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ივნისის მდგომარეობით სააგენტოში არ შემოსულა განცხადება ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის დაწყების მოთხოვნით, სააგენტო საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სხვადასხვა ბაზრის შეფასებას სწორედ ზიანის ელემენტთან მიმართებით. აღნიშნული ბაზრების შერჩევა ხდება რამდენიმე წინაპირობაზე დაყდნობით, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების მნიშვნელოვანი მოცულობა, იმავე სექტორში იმპორტის არსებითი მოცულობის/წილის არსებობა და ანტიდემპინგური ღონისძიებების პრაქტიკის არსებობა საერთაშორისო მასშტაბით (სხვა ქვეყნების მიერ შემოღებული) ინდუსტრიის შესაბამის სექტორში (განსაკუთრებით საქართველოში იმპორტის წყაროებთან მიმართებით).

აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს სასუქების (მინერალური და ორგანული) წარმოების სექტორი, რომელიც შერჩეულ იქნა მონიტორინგის ობიექტად.

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შიდა მოხმარების მიზნითაა შექმნილი. იგი ეყრდნობა სააგენტოსთვის საჯაროდ ხელმისაწვდომ და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, შესაბამისად იგი არ წარმოადგენს შესაბამისი სექტორის სრულ შეფასებას.

## **B. შეფასების მეთოდოლოგია**

### **შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი**

განსახორციელებელი მონიტორინგისათვის შეირჩა სასუქების წარმოების სექტორი. მონაცემები ადგილობრივ მწარმოებლებზე მოძიებულია შემოსავლების სამსახურიდან. გამოყენებულია სასუქების მწარმოებელი კომპანიების გაყიდვებისა და ფასების მაჩვენებლები. საქონლის სახეობები შერჩეულია ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. ასევე, საგარეო ვაჭრობის მონაცემებისთვის, გამოყენებულია საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ კოდების მიხედვით).

ანალიზისათვის გამოყენებულია შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაცია, სასუქების მწარმოებელი კომპანიების მიერ განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით. მონაცემები მოიცავს 2019-2021 წლებში განხორციელებულ ტრანზაქციებს. შესასწავლი ინდუსტრიის განსაზღვრის საფუძველზე შერჩეულ იქნა პროდუქტის რამდენიმე სახეობა, რომელიც მოიცავს:

- აზოტოვან სასუქებს- ამონიუმის გვარჯილა და ამონიუმის სულფატი;
- ორგანული სასუქებს;
- სამ ელემენტური სასუქებს აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით.

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ბაზებიდან დამუშავებულია ინფორმაცია შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული სასუქების რაოდენობაზე, მიღებულ შემოსავლებსა და პროდუქტის საშუალო ღირებულებაზე; საგარეო ვაჭრობის მონაცემების, პროდუქტის იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლების ანალიზისთვის გამოყენებულია საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ორნიშნა კოდი. ინფორმაცია მოძიებულია მე-6 კარის, ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქციის, 31 ჯგუფის „სასუქები“ პროდუქციისათვის, რომელიც მოიცავს:

3101 სასუქები ცხოველური ან მცენარეული წარმოშობისა, შერეული ან შეურეველი, ქიმიურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი; სასუქები, მიღებული მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შერევით ან ქიმიური დამუშავებით

3102 სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი:

3103 სასუქები მინერალური ან ქიმიური, ფოსფოროვანი:

3104 სასუქები მინერალური ან ქიმიური, კალიუმისანი:

3105 სასუქები მინერალური ან ქიმიური, ორი ან სამი მკვებავი ელემენტის: აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით; დანარჩენი სასუქები; ამ ჯგუფის საქონელი ახეზად ან ანალოგიურ ფორმებში ან საფუთავებში ბრუტო-მასით არა უმეტეს 10 კგ-ისა:

### **ადგილობრივი ინდუსტრია**

სასუქების წარმოების მიმართულებით, სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია შემდეგი მწარმოებელი კომპანიები:

- სს რუსთავის აზოტი;
- შპს ჯეოფერტი;
- შპს აგროვიტა პროდაქშენი;
- შპს ინო-ლაბი;
- შპს ჯანმრთელი ცხოვრება;
- შპს MEV SANAYI VE TICARET.

საწარმოო ზომის მიხედვით, ადგილობრივ ინდუსტრია მოიცავს მცირე საწარმოებს, ხოლო მსხვილი ზომის საწარმო მხოლოდ სს რუსთავის აზოტია.

### **იმპორტიორი კომპანიები**

2021 წლის მონაცემებით, სასუქების იმპორტის მიმართულებით, 10 ყველაზე დიდი იმპორტიორი კომპანია საქართველოში შემოტანილი სასუქების 80%-მდე იმპორტს ახორციელებს, მათ შორის:

კომპანია	ქვეყანა	რაოდენობა (ტონა)	ღირებულება (აშშ დოლარი)	ღირებულება (ლარი)	% წილი
შპს რუსარგო I.I.S.					
შპს პი და ჯი ჯგუფი					
შპს მარნეულის სოკო					
შპს ფბა გროუფ					
შპს ბორნ სოფქიმია					
შპს პეის ჯორჯია					
შპს ვოლი					
შპს აგროფარმა					
შპს აგრონომი					
შპს ქართლის აგროსისტემები					

### ექსპორტიორი ქვეყნები

2021 წლის მონაცემებით, სასუქების იმპორტის მიმართულებით იდენტიფიცირებულია 6 ექსპორტიორი ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში იმპორტის მინიმალური მოცულობის ზღვრის კრიტერიუმს. მთლიან იმპორტში, თითოეული ქვეყნის წილი 3%-ს აღემატება. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია აღნიშნული ქვეყნების საბაზრო წილი მთლიან იმპორტში:

- რუსეთი - 53.7 %
- თურქეთი - 9.6.%;
- აზერბაიჯანი - 9.6%;
- იტალია - 5.4%;
- თურქმენეთი - 5.1%;
- ყაზახეთი - 3.1%.

ყველაზე მნიშვნელოვან ექსპორტიორებს კი რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენენ, მათი წილი, მთლიანი იმპორტის 70 %-ს აღემატება. შესაბამისად, იმპორტის

მონაცემების ანალიზის ნაწილში, ძირითადი განხილვის საკითხი აღნიშნული ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლები იქნება.

### **ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება**

შერჩეული ინდუსტრიის მონიტორინგი ეფუძნება „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების ზიანის დადგენის პრინციპებს. სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს შესწავლის განხორციელების პროცესში, ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული ზიანის დადგენის ძირითად ფაქტორებს, რაც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

- დემპინგური იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა;
- საბოლოო გავლენა ადგილობრივი ინდუსტრიაზე.

წარმოდგენილ ინდუსტრიაზე მონაცემების სიმცირიდან გამომდინარე, შეფასების ნაწილში ყურადღება გამახვილდება იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის ნაწილზე, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიის შეფასების მიზნით, განხილული იქნება ადგილობრივი გაყიდვების მოცულობა და მიღებული შემოსავლების, საბაზრო წილების ცვლილების დინამიკა, ადგილობრივი წარმოების ექსპორტის განვითარების ტენდენციები, ზოგადად ბაზარზე არსებული კონკურენცია და ფასების ცვლილებაზე გავლენის მქონე ფაქტორები.

აღნიშნული შეფასების მიზნით, გამოყენებულია 2019-2021 წლების, შერჩეულ პროდუქტის მწარმოებლების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. რის საფუძველზეც, შევაფასებთ ზოგადად ინდუსტრიის განვითარების ტენდენციას.

შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტში ზიანის შეფასების ანალიზი მოიცავს სამ მიმართულებას:

- პირველი, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეფასებულია სასუქების მთლიანი ბაზარი საქართველოში, მოხმარების ზრდის/კლების ტენდენციები, ასევე შევადარებთ ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის საბაზრო წილებს. აღნიშნული ნაწილის მიზანია, ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის მოცულობის მნიშვნელობის დადგენა და ადგილობრივ ინდუსტრიაზე გავლენების იდენტიფიცირება.

- მეორე - პროდუქციის საშუალო ფასებზე დაყრდნობით, შედარებულია ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის ფასები. განხილულია ფასების განვითარება, არის თუ არა იმპორტირებული პროდუქტის ფასი ადგილობრივი ბაზრის ფასებზე დაბალი, და იკვეთება თუ არა ფასების ზრდის/კლების ტენდენციები.
- მესამე მიმართულება, კი ეთმობა ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. აღნიშნული ნაწილის მიზანია, ადგილობრივი ინდუსტრიის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და ზიანის იდენტიფიცირება. ეს ნაწილი მოიცავს, ადგილობრივი მწარმოებლების მიერ განხორციელებული მთლიანი გაყიდვების შეფასებას, საექსპორტო ბაზრებზე საქმიანობის დინამიკის დადგენას, ასევე ადგილობრივი გაყიდვების ტენდენციებთან ექსპორტის შედარებას;

### საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

ასევე, მნიშვნელოვანია მსოფლიო დონეზე სასუქების ბაზრების განვითარების ტენდენციის მიმოხილვა. ამ მიმართულებით ყურადღება გამახვილებულია პროდუქტის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში სასუქებით საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე და აღნიშნულ სექტორში შემოდებულ ანტიდემპინგურ ღონისძიებებზე.

### ინფორმაციის წყაროები

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- შემოსავლების სამსახური;
- საგარეო ვაჭრობის პორტალი, საქსტატი;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო პორტალი.

## C. სასუქების სექტორი საქართველოში

### სასუქების ადგილობრივი წარმოება

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ 2019-2020 წლებში, ბაზარზე სასუქებს 6 კომპანია აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ ერთი კომპანიის „რუსთავის აზოტის“ გარდა ყველა მწარმოებელი მცირე საწარმოს წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში N1. წარმოდგენილია 2019-2021 წლებში სასუქების ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები, რუსთავის აზოტის მიერ გაყიდული პროდუქციის



რაოდენობა, ფასები და გაყიდვებით მიღებული შემოსავლები დღგ-ს ჩათვლით, ასევე კომპანიის საბაზრო წილი და ზოგადად ინდუსტრიის მიერ გაყიდული პროდუქტის რაოდენობა და საშუალო ღირებულება.

ცხრილი N1. სასუქების ადგილობრივი წარმოების გაყიდვები, 2019-2021 წელი

წელი	2019-2021 საშუალო	2019	2020	2021
[REDACTED]				
გაყიდული ერთეული(ტონა)	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]
საშუალო ფასი	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]
მიღებული შემოსავალი	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]
<b>ინდუსტრია</b>				
გაყიდული ერთეული(ტონა)	43457.6	13244.0	17559.2	12654.4
საშუალო ფასი	701.1	677.7	681.9	743.7
მიღებული შემოსავალი	30641940.3	9040768.6	12162972.1	9438199.7
<b>საბაზრო წილები</b>				
[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]
[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]	[REDACTED]

წყარო: შემოსავლების სამსახური

ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ 2019-2021 წლებში ადგილობრივ ბაზარზე ინდუსტრიის მიერ გაყიდული საქონლის რაოდენობა შემცირებულია. მნიშვნელოვანია, რომ 2019-დან 2020 წლამდე, [REDACTED] მიერ გაყიდული საქონლის რაოდენობა 33 %-მდეა გაზრდილი, თუმცა ეს მაჩვენებელი 2020-2021 წლების მონაცემების შემთხვევაში, გაყიდული საქონლის 28 %-იან კლებაზე მიგვანიშნებს. გაყიდული საქონლის რაოდენობასთან შედარებით, სტაბილურად მზარდია პროდუქტის საშუალო ღირებულება, რაც ერთ ტონა სასუქზე 2019 წელს 678 ლარს შეადგენდა, ხოლო 2021 წლისათვის 744 ლარამდე გაიზარდა. 2019-დან 2021 წლამდე პროდუქტის ღირებულება 10 %-მდე გაიზარდა. რაც შეეხება მწარმოებლების მიერ ადგილობრივი გაყიდვებით მიღებული შემოსავლების მაჩვენებლებს, აქაც მსგავსი ტენდენციაა და 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით მკვეთრი 33 %-იანი ზრდის შემდეგ, 2021 წელს წინა წელთან შედარებით კომპანიის შემოსავლები 22 %-მდეა შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი მონაცემების და დაკვირვებისათვის შერჩეული პროდუქტის მთლიანი ინდუსტრიის შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ რუსთავის აზოტის საბაზრო წილი მთლიანი ბაზრის [REDACTED]-მდე შეადგენს. აღნიშნული კომპანიას მოსდევს

ჯეოფერტისა და აგროვიტას წარმოებული პროდუქტის გაყიდვები, რომელთა წილი ბაზარზე ■%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის შეფასების პროცესში, საკმარისია რუსთავის აზოტის მაჩვენებლების ანალიზი.

### ადგილობრივი მწარმოებლების ექსპორტი

ინდუსტრიის მდგომარეობის შეფასების მიზნით, ადგილობრივ ბაზარზე სასუქების გაყიდვების მაჩვენებლების მიმოხილვასთან ერთად, ასევე აუცილებელია მწარმოებლების მიერ ექსპორტირებული პროდუქტის დინამიკის შეფასება.

ცხრილი N2-ში წარმოდგენილია ადგილობრივი წარმოების სასუქების ექსპორტის დინამიკა 2019-2022 წლებში. 2022 წლის მაჩვენებლები მოიცავს პირველი 5 თვის მონაცემებს. ცხრილის მიხედვით, იკვეთება, რომ 2020 წელს, 2019 წლის მაჩვენებლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა სასუქების ექსპორტი საქართველოდან და 50 ათასი ტონიდან, 43 ათას ტონამდე ჩამოვიდა (14 %-იანი კლება). ამავე პერიოდში, მნიშვნელოვნად 12 %-ით დაიკლო ექსპორტირებული სასუქების საშუალო ღირებულებამაც, და ერთი ტონის ღირებულებამ 170 დოლარამდე შეადგინა. შედეგად, 2020 წელს წინა წელთან შედარების, ინდუსტრიის მიერ განხორციელებული ექსპორტის მთლიანი ღირებულება 24 %-ით შემცირდა.

რაც შეეხება 2021 წლის მონაცემებს, ამ პერიოდში იკვეთება ექსპორტის დადებითი დინამიკა, 5 %-მდეა გაზრდილი ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა. ამასთანავე მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქტის საშუალო ღირებულება და ერთ ტონა სასუქზე 265 დოლარი შეადგინა (წინა წლის ფასთან შედარებით 58 %-მდე გაიზარდა). შედეგად, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს ინდუსტრიაში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით 65 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2020 წლის ექსპორტის მაჩვენებლების კლება ნაწილობრივ განპირობებულია პანდემიის უარყოფითი გავლენებით ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მიმართულებით. ამ პერიოდში ქვეყნისათვის დამახასიათებელი იყო ვაჭრობის შემცირების დინამიკა, რაც თავის მხრივ შესაძლოა სასუქების ბაზარზეც აისახა.

ასევე მნიშვნელოვანია 2022 წლის პირველი 5 თვის მონაცემების განხილვა, ამ მიმართულებით შედარებისათვის გამოყენებულია 2021 წლის ანალოგიური პერიოდი. მიუხედავად ექსპორტირებული სასუქების მოცულობის 5 %-იანი კლებისა, ამ პერიოდში

ფიქსირდება ფასის მკვეთრი ზრდა 191 დოლარიდან 672 დოლარამდე, შესაბამისად, მთლიანად ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულება 230 %-ით გაიზარდა.

ცხრილი N2. ადგილობრივი წარმოების სასუქების ექსპორტი, 2019-2022 წლები

HS2	წელი	1000 აშშ დოლარი	ტონა	ერთეულის ღირებულება	ღირებულება მლნ. ლარში	საშუალო გაცვლითი კურსი
31	2019	95551.09	502552.35	190	267593384.7	2.8
31	2020	72405.78	430929.97	168	222392438.8	3.08
31	2021	118908.03	448152.78	265	381939111.5	3.24
31	2021 (I-V)	46 199.6	241 712.55	191.13		
31	2022 (I-V)	153 142.86	227 938.15	671.86		

წყარო: 2019-2021 შემოსავლების სამსახური, 2021-2021 (I-V) საქსტატი

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად 2019 წლიდან 2021 წლამდე ექსპორტირებული სასუქების მოცულობის შემცირებისა, ამ პერიოდში, ფასის ზრდის საფუძველზე, ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მიღებული შემოსავლები საგრძნობლად არის გაზრდილი.

ადგილობრივი წარმოების სასუქების ექსპორტის ზოგადი შეფასების გარდა, მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირებაც, თუ რომელი სახეობის სასუქების ექსპორტი ხორციელდება. ცხრილი N3-ში წარმოდგენილია ინფორმაცია, სასუქებით ექსპორტზე სასაქონლო ნომენკლატურის ოთხ ნიშნა კოდების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ნომენკლატურაში წარმოდგენილი 5 კატეგორიიდან, ექსპორტზე 4 სახეობის სასუქი გადის (აზოტოვანი, კალიუმის, სამი ელემენტის ნაერთი და ორგანული), ქვეყნისათვის მხოლოდ აზოტოვანი სასუქების ექსპორტია არსებითი. 2019-2020 წლებში, აზოტოვანი სასუქების ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 99 %-ზე მეტს შეადგენდა. შესაბამისად, სასუქების მწარმოებელი ინდუსტრიის საექსპორტო შესაძლებლობებისა და მდგომარეობის შეფასების მიზნით, საკმარისია მხოლოდ აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მონაცემების განხილვა.

რაც შეეხება, აზოტოვანი სასუქების ფასების დინამიკას, ისიც მთლიანად ბაზარზე არსებულ ტენდენციებს მიყვება და ერთი ტონის ღირებულება 2019 წლიდან 483 დოლარით გაიზარდა, 2022 წელს 671 დოლარს მიაღწია.

ამასთანავე, 2019-2022 წლებში შემცირებულია 3 ელემენტიანი (აზოტი, ფოსფორი და კალიუმი) სასუქების ღირებულება. 2019 წელს, აღნიშნული სახეობის სასუქის ღირებულება 1600 დოლარს აღემატებოდა, ხოლო 2022 წელს 716 დოლარი შეადგინა.

ცხრილი N3. სასუქების ექსპორტი კატეგორიების მიხედვით, 2019-2022 წლები

სახეობა	HS4	წელი	1000 აშშ დოლარი	ტონა	ერთეულის ღირებულება	წილი მთლიან იმპორტში
<b>აზოტოვანი სასუქები</b>	3102	2019	94784.06	502328.92	188.69	<b>99.9</b>
კალიუმის სასუქები	3104	2019	8.52	16.00	532.50	0.003
3 ელემენტის სასუქები	3105	2019	871.16	523.40	1664.42	0.1
ცხოველური ან მცენარეული სასუქები	3101	2020	84.15	46.49	1810.07	0.011
<b>აზოტოვანი სასუქები</b>	3102	2020	72267.01	430786.80	167.76	<b>99.960</b>
3 ელემენტის სასუქები	3105	2020	106.34	125.07	850.24	0.029
ცხოველური ან მცენარეული სასუქები	3101	2021	17.88	2.62	6824.43	0.001
<b>აზოტოვანი სასუქები</b>	3102	2021	119500.10	451913.39	264.43	<b>99.999</b>
ცხოველური ან მცენარეული სასუქები	3101	2022	16.00	20.00	800.00	0.009
<b>აზოტოვანი სასუქები</b>	3102	2022	152729.31	227363.50	671.74	<b>99.748</b>
3 ელემენტის სასუქები	3105	2022	397.55	554.65	716.76	0.243

*წყარო: საქსტატი, საგარეო ვაჭრობის პორტალი*

დამატებით, სასუქების ექსპორტის მონაცემების განხილვისას საკმაოდ მკვეთრი ცვლილებები ვლინდება საექსპორტო ბაზრების დინამიკაში. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის 53% პერუში გადის, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საერთოდ არ ფიქსირდება აღნიშნული პროდუქტის ექსპორტი პერუში, ხოლო 2020 და 2019 წლებში წარმოდგენილი ქვეყნის წილი მთლიან ექსპორტში, შესაბამისად 8 და 7%-მდე შეადგენდა.

2021 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული რუმინეთში ექსპორტირებული სასუქის მოცულობა და 2021 წლის იანვარი-მაისში ექსპორტირებული 45 ათასი ტონის ნაცვლად, 2022 წელს 27 ათას ტონას შეადგენს (60%-იანი კლება). ასევე მსგავსია უკრაინაში განხორციელებული ექსპორტის მაჩვენებლები, სადაც ექსპორტის მოცულობის 45%-იანი კლება ფიქსირდება.

უკრაინაში პროდუქტის ექსპორტის შემცირება, თავის მხრივ განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომით. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის თებერვლის მერე საქართველოდან უკრაინაში სასუქების ექსპორტი არ განხორციელებულა. ასევე საყურადღებოა, რომ პერუში პროდუქტის

ექსპორტირებაც თებერვალში დაიწყო და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2022 წლის აპრილში მიაღწია (საქსტატი, საგარეო ვაჭრობის პორტალი).

2022 წელს, ადგილობრივი მწარმოებლები ახალ საექსპორტო ბაზარზე, ინდოეთში დამკვიდრდნენ და აღნიშნული ქვეყნის წილმა მთლიან ექსპორტში 7% შეადგინა. ამასთანავე, მეტნაკლებად სტაბილური დადებითი ტენდენციით ხასიათდება სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის საბაზრო წილი.


**ცხრილი N4. ძირითადი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში, 2019-2022**

ქვეყანა	2022	2021	2020	2019
პერუ	53.3	-	7.9	6.6
რუმინეთი	12.0	25.5	15.1	10.1
უკრაინა	8.0	24.8	23.4	36.7
ინდოეთი	7.2	-	-	-
სომხეთი	6.2	5.6	5.4	3.8

*წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი*

დიაგრამა N1-ში წარმოდგენილია, 2019-2021 წლებისა და 2021-2022 წლების პირველი ხუთი თვის მონაცემებით, ძირითად საექსპორტო ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობის დინამიკა. გრაფიკზე კარგად ჩანს პერუში განხორციელებული ექსპორტის მკვეთრი ზრდა, რომლის მოცულობაც 2022 წელს, 2019 წელთან შედარებით 270%-მდე გაიზარდა.

**დიაგრამა N1. სასუქების ექსპორტის დინამიკა ქვეყნების მიხედვით, 2019-2022**



*წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი*

დამატებით ხაზგასასმელია, რომ საქართველოდან სასუქების ადგილობრივ ექსპორტს მხოლოდ ორი კომპანია ახორციელებს. ცხრილი N5-ში წარმოდგენილია აღნიშნული კომპანიების მიერ ექსპორტირებული სასუქების მოცულობა, ღირებულება და საბაზრო წილები. საექსპორტო ბაზრის 99% სს რუსთავი აზოტის პროდუქტზე მოდის, ხოლო 1%-მდე შპს ჯეოფერტის პროდუქციაზე. 2019-2021 წლებში მნიშვნელობანი ცვლილებები ამ მიმართულებით არ აღინიშნება.

ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ განსხვავებულია კომპანიების მიერ ექსპორტირებული პროდუქტიც. რუსთავის აზოტის ექსპორტი შედგება აზოტოვანი სასუქების პროდუქტისაგან (HS4 კოდი 3102), რაც მოიცავს ამონიუმის სულფატისა და გვარჯილას პროდუქციას. ხოლო ჯეოფერტის საექსპორტო პროდუქტს ორი ან სამი მკვებავი ელემენტის: აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობის მქონე სასუქები წარმოადგენს (HS4 კოდი 3105) და მცირე რაოდენობის ორგანული სასუქები.

ცხრილი N5. ექსპორტიორი კომპანიები და მათი საბაზრო წილები, 2019-2020

კომპანია	ექსპორტის მოცულობა (ტონა)	ღირებულება 1000 აშშ დოლარი	ერთეულის ღირებულება	ღირებულება ა ლარში	საშუალო გაცვლითი კურსი	საბაზრო წილები
<b>2019</b>						
რუსთავის აზოტი						
ჯეოფერტი						
სულ	502552.36	95551.09	190.13	267593384.73	2.80	100.00
<b>2020</b>						
რუსთავის აზოტი						
ჯეოფერტი						
სულ	430929.97	72405.78	168.02	222392438.80	3.09	100.00
<b>2021</b>						
რუსთავის აზოტი						
ჯეოფერტი						
სულ	448152.78	118908.03	265.33	381939111.46	3.24	100.00

წყარო: შემოსავლების სამსახური

## სასუქების იმპორტის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია 2019-2022 წლებში საქართველოში სასუქების იმპორტის განვითარების ტენდენციები. აღნიშნული სექტორის შეფასების მიზნით, განხილულია იმპორტის მოცულობის აბსოლუტური ზრდა და შეფასებულია წლების განმავლობაში ფასების ცვლილება. ასევე, გაანალიზებულია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების საბაზრო წილების ტენდენციები და მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტის ფასები.

ცხრილი N6. სასუქების იმპორტი საქართველოში, 2019-2022 წლები

HS	წელი	ღირებულება (1000 აშშ დოლარი)	ტონა	ერთი ტონის საშუალო ღირებულება
31	2019	13449.50	34749.38	387
31	2020	17993.32	50540.61	356
31	2021	21059.61	41940.925	502
31	2021(I-IV)	7944.29	15955.11	500
31	2022(I-IV)	10634.41	13166.85	810

*წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი, საგარეო ვაჭრობის პორტალი*

ცხრილი N6-ში მოცემულია მთლიანი იმპორტის მოცულობა და იმპორტირებული სასუქების ღირებულება შესაბამისი წლების მიხედვით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, იკვეთება, რომ სასუქების იმპორტის მოცულობა 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს 45%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ფიქსირდება იმპორტის კლება 2021 წელს, და წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით მოცულობა 17%-ით არის შემცირებული. ასევე, 2022 წლის, იანვარი-აპრილის მონაცემების შეფასებისათვის, იმპორტის ზრდის მაჩვენებლები შედარებულია 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში იმპორტის მოცულობა 17%-ით არის შემცირებული.

რაც შეეხება ფასების ტენდენციებს, 2019-2020 წლებში ფასების მცირე კლება იკვეთება, თუმცა 2021 წელს ერთი ტონა იმპორტირებული სასუქის ღირებულება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 41%-მდეა გაზრდილი. ფასების უფრო მაღალი ზრდა კი 2022 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებში ფიქსირდება. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი ტონა სასუქის ღირებულება 62%-ით არის გაზრდილი და ერთ ტონაზე დაახლოებით 810 დოლარს შეადგენს. ერთი ტონა სასუქის ღირებულება 2020 წელს 356 აშშ დოლარიდან, 2021 წლისთვის 502 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოში სასუქების ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების განსაზღვრა.

ცხრილი N7. სასუქების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი

ქვეყანა	ტონა	ღირებულება (დოლარი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (ერთი ტონა)	პროცენტული წილი
მსოფლიო	41940.925	21059612.22	67856818.22	502	100
რუსეთი	22527.428	10736930.73	34532747.31	476	53.7
აზერბაიჯანი	4046	547844	1737175.814	135	9.6
თურქეთი	3966.421	2367419.135	7717719.989	596	9.6
იტალია	2250.729	1332568.235	4248242.055	592	5.4
თურქმენეთი	2157.485	375897.46	1176833.042	174	5.1
ყაზახეთი	1310.173	782938	2459108.063	597	3.1


წყარო: შემოსავლების სამსახური

ცხრილი N7-ის მიხედვით იკვეთება, რომ 2021 წელს საქართველოში სასუქების იმპორტის ტოპ 6 ქვეყნის საბაზრო წილი მთლიანი იმპორტის 85%-ს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული სასუქის ღირებულებაც. მაგალითისათვის, რუსეთიდან იმპორტირებული ერთი ტონა სასუქის საშუალო ღირებულება 476 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო თურქეთიდან იმპორტირებული შესაბამისი პროდუქტის ღირებულება 596 აშშ დოლარს. შედარებით დაბალია აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან იმპორტირებული სასუქის ფასი, რომელიც შესაბამისად, 135 და 174 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანიდან იმპორტირებულია ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის (ორგანული) სასუქების ძირითადი ნაწილი, რაც განაპირობებს მინერალურ სასუქებთან შედარებით პროდუქტის ესეთ დაბალ ღირებულებას.

ქვეყნების მიხედვით, სასუქის იმპორტის განვითარების ანალიზისათვის, შეფასებულია 2019 წლიდან ამ მიმართულებით ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ფასებისა და საბაზრო წილების ცვლილების ტენდენციები.



დიაგრამა N2. იმპორტის მოცულობის დინამიკა ქვეყნების მიხედვით, 2019-2021 წლები



**წყარო: შემოსავლების სამსახური**

წარმოდგენილი დიაგრამის მიხედვით, 2021 წელს ფიქსირდება სასუქების იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი კლება რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამავდროულად, იმპორტის მოცულობის ზრდა იკვეთება თურქეთისა და იტალიის შემთხვევაში. რაც შეეხება თურქმენეთისა და ყაზახეთის ბაზრებს, ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ იმპორტი ამ ქვეყნიდან 2020 წლიდან ფიქსირდება და მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ძირითადი იმპორტიორი ქვეყნიდან საქონლის იმპორტის შემცირება შესაბამისობაშია, ზოგადად სასუქების მთლიანი იმპორტის შემცირების ტენდენციასთან.

ცხრილი N8. იმპორტიორი ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში და პროდუქტის ღირებულება. 2019-2022 წლები

წელი	2019		2020		2021		2022 (I-IV)	
	% წილი	ფასი	% წილი	ფასი	% წილი	ფასი	% წილი	ფასი
რუსეთი	62.2	0.349	59.9	0.337	53.7	0.477	30.2	0.731
აზერბაიჯანი	15.8	0.282	14.1	0.116	9.6	0.135	16.1	0.259
თურქეთი	8.2	0.490	7.5	0.536	9.5	0.597	14.0	1.131
იტალია	3.2	0.565	2.5	0.551	5.4	0.592	7.9	0.889
თურქმენეთი	-	-	2.9	0.186	5.1	0.174	3.0	0.707
ყაზახეთი	-	-	1.1	0.242	3.1	0.598	-	-

**წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი, საგარეო ვაჭრობის პორტალი**

რაც შეეხება ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების საბაზრო წილებსა და მათი ცვლილების დინამიკას. 2022 წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული რუსეთის წილი მთლიან იმპორტში, და 2021 წლის 54%-დან, 2022 წელს 30%-მდეა დაკლებული. ამავდროულად, სასუქის იმპორტის შემცირების ფონზე, გაზრდილია თურქეთის, აზერბაიჯანის და იტალიის საბაზრო წილები. 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად არის შემცირებული თურქმენეთიდან განხორციელებული იმპორტი, ხოლო ყაზახეთიდან პროდუქტის შემოტანა 2022 წელს არ ფიქსირდება.

რაც შეეხება ფასების ცვლილებას, კონკრეტული მწარმოებელი ქვეყნის ფასები არ არის ამოვარდნილი სასუქებზე გაზრდილი ფასების ძირითადი ტრენდიდან. 2022 წლის მონაცემებით, ქვეყნების უმეტესობის შემთხვევაში, იმპორტირებული სასუქების ერთი ტონის საშუალო ღირებულება თითქმის გაორმაგებულია წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით.

დამატებით, ცხრილი N9-ში, მოცემულია 2021 წელს იმპორტირებული სასუქების განაწილება შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

ცხრილი N9. სასუქების იმპორტი საქართველოში კატეგორიების მიხედვით, 2021 წელი (1000 აშშ დოლარი)

სახეობა	HS4	ღირებულება (აშშ დოლარი)	ტონა	ღირებულება (ერთი ტონა)	% წილი
ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის სასუქები	3101	736595.2	4055.77	0.181	9.7
აზოტოვანი სასუქები	3102	3378469	9807.84	0.344	23.4
ფოსფოროვანი სასუქები	3103	0	0	0.00	0.0
კალიუმისანი სასუქები	3104	912589.2	1811.12	0.503	4.3
სასუქები აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით	3105	16031959	26266.19	0.610	62.6
სასუქები	31	21059612	41940.93	0.502	100

*წყარო: შემოსავლების სამსახური*

იმპორტის ძირითადი ნაწილი 63%-მდე მოდის ორი ან სამი მკვებავი ელემენტის, აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის შემცველ სასუქებზე, ასევე მაღალია მხოლოდ აზოტოვანი

სასუქების იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც მთლიან იმპორტში 23%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2019-2022 წლების განმავლობაში, სასუქის სახეობების წარმოდგენილი განაწილება მთლიან იმპორტში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში არ ფიქსირდება სასუქების იმპორტის ზრდის ან ფასების შემცირების ტენდენციები. საპირისპიროდ, 2019-2020 წლებში არსებული ზრდის მიუხედავად, 2021-2022 წლებში იკვეთება სასუქების იმპორტის შემცირებისა და ერთი ტონის საშუალო ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკა.

## D. ზიანის დადგენა

### დემინგური იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა

2019-2021 წლებში, საქართველოში სასუქების მოხმარების ტენდენციებისა და საბაზრო წილების განსაზღვრის მიზნით, ცხრილი N10-ში წარმოდგენილია სასუქების მთლიანი იმპორტისა და ადგილობრივი მწარმოებლების მიერ გაყიდული პროდუქციის დინამიკა.

აღსანიშნავია, რომ ზიანის დადგენის პროცესში გასათვალისწინებელია, იმპორტის მოცულობის ზრდის, როგორც აბსოლუტური, ასევე წარმოებასა და მოხმარებასთან შედარებული მაჩვენებლები.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ 2021 წლის მონაცემებით, მწარმოებლები ადგილობრივი მოხმარების 23%-ს აკმაყოფილებენ. 2019-2021 წლების, იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების საბაზრო წილების ტენდენციის შეფასებისას იკვეთება, ადგილობრივი წარმოების წილის შემცირება, 27-დან 23%-მდე.

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, საქართველოში გაყიდული სასუქების რაოდენობა 41%-ით გაიზარდა. აღნიშნულმა ზრდამ, თავის მხრივ იმპორტისა და ადგილობრივი გაყიდვების მოცულობის ზრდა განაპირობა. შესაბამისად, 2019-2020 წლების პერიოდში იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების აბსოლუტური ზრდის პარალელურად, ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან მოხმარებაში შემცირებულია.

ამასთანავე, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, სასუქების მოხმარება საქართველოს ბაზარზე 20%-მდეა შემცირებულია. ამ პერიოდში, სასუქების იმპორტის მოცულობა შემცირებულია 17%-ით, ხოლო ადგილობრივი წარმოების გაყისვები კი 28%-ით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი წარმოების წილის შემცირებას.

ცხრილი N10. სასუქების მთლიანი მოხმარება საქართველოში

	მოცულობა (ტონა)	ერთეულის ღირებულება (ლარში)	მთლიანი ღირებულება (ლარში)	საბაზრო წილები
<b>2019</b>				
იმპორტი	34749.38	1085	37712386	72.4
ადგილობრივი გაყიდვები	13244.01	678	9040769	27.6
მოხმარება	47993.39			
<b>2020</b>				
იმპორტი	50540.60	1116	56409359	74.2
ადგილობრივი გაყიდვები	17559.19	682	12162972	25.8
მოხმარება	68099.79			
<b>2021</b>				
იმპორტი	41940.92	1618	67856818	76.8
ადგილობრივი გაყიდვები	12654.43	744	9438200	23.2
მოხმარება	54595.35			

*წყარო: შემოსავლების სამსახური*

რაც შეეხება ფასების ტენდენციებს, აღნიშნულ პერიოდში, როგორც ადგილობრივი ისე იმპორტირებული საქონლის ფასები მზარდია. თუმცა მნივშვნელოვანია იმის ხაზგასმა რომ ფასებს შორის არსებული განსხვავება ნაწილობრივ იმპორტირებულ და წარმოებულ პროდუქტის სახეობებს შორის სხვაობით არის განპირობებული. როგორც ზემოთ იქნა განხილული იმპორტირებული პროდუქტის 60%-ზე მეტი სამი ელემენტის შემცველ სასუქებზე მოდის, მაშინ როდესაც ადგილობრივი წარმოების 99% აზოტოვანი სასუქების წარმოებაზეა მიმართული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორებს შორის კონკურენციის შეფასების მიზნით, აუცილებელია, კონკრეტულად აზოტოვანი სასუქების იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების ბაზრის ანალიზი.

ცხრილი N11-ის მიხედვით, ადგილობრივი წარმოების წილი აზოტოვანი სასუქების მოხმარებაში 50%-ს აღემატება, ასევე გაყიდული პროდუქტის მოცულობა ორივე სუბიექტის შემთხვევაში მიყვება ბაზარზე არსებულ ტენდენციებს 2019 წლიდან 2020 წლამდე, 50%-ით გაიზარდა აზოტოვანი სასუქების მოხმარება საქართველოში, ამავდროულად 32%-ით გაიზარდა საქართველოში წარმოებული პროდუქტის გაყიდვები და 73%-ით - იმპორტირებულისა.

მიუხედავად 2020 წელს, ინდუსტრიის საბაზრო წილის უმნიშვნელო კლებისა 2021 წლისათვის, მისი მაჩვენებელი 2019 წლის მაჩვენებელს აღემატება და 56%-ს აღწევს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს იკვეთება მთლიანად აზოტოვანი სასუქების ბაზრის შემცირების ტენდენცია და შესაბამისად, ორივე მხარის გაყიდვების მოცულობაც დაკლებულია.

ცხრილი N11. აზოტოვანი სასუქების მოხმარება საქართველოში

	მოცულობა (ტონა)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება ლარში	საბაზრო წილები
<b>2019</b>				
იმპორტი	9850	883	8700371	42.7
ადგილობრივი წარმოება	13240	678	9015719	57.3
მოხმარება	23090		18178852	100
<b>2020</b>				
იმპორტი	17093	797	13616570	49.3
ადგილობრივი წარმოება	17559	682	12009485	50.7
მოხმარება	34652		24737860	100
<b>2021</b>				
იმპორტი	9808	1102	10804745	43.7
ადგილობრივი წარმოება	12650	744	9384103	56.3
მოხმარება	22458		20331169	100

წყარო: შემოსავლების სამსახური

ადგილობრივ ბაზარზე ფასებზე გავლენის დადგენის მიმართულებით, შესწავლის წესში განსაზღვრული პრინციპების მიხედვით, საჭიროა:

- იმპორტირებული პროდუქტის ფასის შედარება საქართველოს ბაზარზე არსებული პროდუქტის ფასებთან;
- ადგილობრივი წარმოების პროდუქტის ფასების შემცირებაზე გავლენის დადგენა; და
- ადგილობრივი წარმოების პროდუქტის ფასების ზრდის დაბრკოლების შეფასება.

ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ იმპორტირებული აზოტოვანი სასუქების ღირებულება აღემატება აქ წარმოებული სასუქების ფასს. 2019 წლიდან, ადგილობრივი წარმოების ფასი 10%-მდეა გაზრდილი, ხოლო იმპორტის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 28%-მდე აღწევს.

შესაბამისად, ფასებზე გავლენის დადგენის მიმართულებით უარყოფითი ტენდენციები არ ფიქსირდება. იმპორტირებული პროდუქტის ფასი უფრო მაღალია, ადგილობრივი ინდუსტრიის ფასები კი, შემცირების ნაცვლად გაზრდილია.


### **ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენები**

ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენების ანალიზისათვის განხილულია:

- გაყიდვების მაჩვენებლები, პროდუქტის მოცულობისა და ღირებულების ცვლილების დინამიკა;
- ინფორმაცია საბაზრო წილის ცვლილებაზე;
- ადგილობრივი ინდუსტრიის ექსპორტის მაჩვენებლები;
- ინფორმაცია უცხოელ და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენციაზე;
- საქართველოს ბაზარზე ფასების დონეზე მოქმედი ფაქტორები.

როგორც უკვე აღინიშნა, ადგილობრივი წარმოების მიერ გაყიდული პროდუქტის მოცულობის შემცირების მიუხედავად გაიზარდა კომპანიების მიერ მიღებული შემოსავალი. დიაგრამა N3-ის მიხედვით, უარყოფითი ტენდენცია ფიქსირდება, 2019-2021 წლებში რუსთავის აზოტის მიერ გაყიდული სასუქების მოცულობის 5%-მდე შემცირებაში, ამავდროულად 5%-მდეა მომატებული ინდუსტრიის შემოსავალი.


**დიაგრამა N3. სასუქების ადგილობრივი გაყიდვების მოცულობა და ღირებულება, 2019-2021**



**წყარო: შემოსავლების სამსახური**

რაც შეეხება ფასებს, გლობალურ დონეზე სასუქების ფასების ზრდის ტენდენციის შესაბამისად, ასევე მზარდია საქართველოში წარმოებული პროდუქტის ღირებულებაც. ადგილობრივი გაყიდვების მოცულობის კლების მიუხედავად, 10%-ით არის გაზრდილი ერთი ტონა სასუქის საშუალო ღირებულება (დიაგრამა N4).

**დიაგრამა N4. ერთი ტონა სასუქის საშუალო ღირებულება, 2019-2021, ლარი**



**წყარო: შემოსავლების სამსახური**

ასევე ძალიან მცირეა, მთლიან მოხმარებაში ადგილობრივი ინდუსტრიის წილის ცვლილების ტენდენცია. ცხრილი N12-ის მიხედვით, 2019-2021 წლებში, ადგილობრივი გაყიდვების წილი მთლიან ბაზარზე უმნიშვნელოდ არის შემცირებული.

**ცხრილი N12. იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან მოხმარებაში, 2019-2021**


წელი	2019	2020	2021
იმპორტი	42.7	49.3	43.7
ადგილობრივი წარმოება	57.3	50.7	56.3

*წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი, საგარეო ვაჭრობის პორტალი*

ამასთანავე, ექსპორტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვების დინამიკის შეფასებისას ნათლად იკვეთება, რომ 2020 წელს პანდემიის შედეგად ექსპორტის შემცირების პარალელურად, გაიზარდა კომპანიების ადგილობრივი გაყიდვები. რასაც 2021 წლისათვის ექსპორტის მაჩვენებლების ზრდა და შესაბამისად ადგილობრივი გაყიდვების შემცირება მოჰყვა.

როგორც უკვე აღინიშნა, გაყიდული მოცულობის შემცირების მიუხედავად, სასუქების ფასების ზრდის საფუძველზე, წინა წლებთან შედარებით 2021 წელს, მთლიანად ინდუსტრიის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

**დიაგრამა N5. ექსპორტისა და ადგილობრივი გაყიდვების მოცულობის დინამიკა**



*წყარო: შემოსავლების სამსახური*

შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი 5 მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის შეფასების საფუძველზე, უარყოფითი ტენდენცია, მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული პროდუქტის მოცულობის კლების მიმართულებით ფიქსირდება. სხვა სფეროებში, ადგილობრივი ინდუსტრიის საქმიანობა დადებითი დინამიკით ხასიათდება. 2019-2021 წლებში გაზრდილია ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული პროდუქტით მიღებული შემოსავლების ოდენობა, ასევე გაზრდილია ადგილობრივი წარმოების საბაზრო წილი



მთლიან მოხმარებაში. მიუხედავად ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობის შემცირებისა, 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.

რაც შეეხება ადგილობრივ და უცხოელ მწარმოებლებს შორის კონკურენციაზე, საბაზრო წილებს შორის მცირე სხვაობისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში მცირე ცვლილებების გათვალისწინებით, ბაზარზე მათი წილები მეტნაკლებად სტაბილური და თანასწორია.

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ საქართველოში როგორც იმპორტირებული ასევე ადგილობრივი წარმოების ფასების ზრდა განპირობებულია გლობალურ დონეზე სასუქებზე მომატებული ფასებით, და არ არის დაკავშირებული რომელიმე მხარის საფასო პოლიტიკასთან.

ცხრილი N14. ადგილობრივი ინდუსტრიის დასაქმების მაჩვენებლები და საშუალო ხელფასები, 2019-2021 წელი


	სექტორში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა	საშუალო ხელფასი
2019	2,070	1,192
2020	2,074	1,539
2021	2,050	1,766

წყარო: შემოსავლების სამსახური

ცხრილი N14 -ში ადგილობრივი ინდუსტრიის შეფასების მიზნით წარმოდგენილია მწარმოებელი კომპანიების 2019-2021 წლებში დასაქმების მაჩვენებლები და საშუალო ხელფასები.

სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2019-2020 წლების მანძილზე მეტნაკლებად სტაბილურია. 2020 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 0,2%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2021 წელს კი 2020 წელთან შედარებით 1,19%-ით არის შემცირებული.

დიაგრამა N6: სექტორში დასაქმებულ პირთა საშუალო ხელფასი, 2019-2021 წელი



*წყარო: შემოსავლების სამსახური*

რაც შეეხება დასაქმებულ პირებზე გაცემულ საშუალო ხელფასებს, ფიქსირდება ზრდა, კერძოდ 2020 წელს საშუალო ხელფასის რაოდენობა წინა წელთან შედარებით 29.12 %-ით არის გაზრდილი, ხოლო 2021 წელს კი 14.8%-ით 2020 წელთან შედარებით. ჯამში 2021 წელს 2019 წელთან შედარებით ხელფასები 48.2% არის გაზრდილი, ხოლო დასაქმებულების რაოდენობა კი 0.99 %-ით არის შემცირებული.

## E. საერთაშორისო ტენდენციები სასუქების ინდუსტრიაში


ცნობილია, რომ სასუქი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებას. სწორედ ამიტომ სასუქებისა და აგრო ქიმიკატების ბაზარს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსავლიანობის გაუმჯობესებაში და უფრო და უფრო დიდ პოპულარობას იძენს. ბოლო პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდა, რასაც შესაბამისად მოჰყვა სასუქებზე მოთხოვნის ზრდაც. გარდა ამისა სასუქებისა და აგრო ქიმიკატების მოთხოვნის ზრდა, ასევე გამოწვეულია ნიადაგში საკვები ნივთიერებების ნაკლებობის გამოც.

2022 წელს სასუქების მსოფლიო ბაზრის მოხმარებამ 83.5 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან 6%-ით მეტია. დარგის ექსპერტები წინასწარი პროგნოზის მიხედვით კი 2030 წლისთვის 251.57 მილიარდ დოლარამდე ზრდას ვარაუდობენ.

ცხრილი N14: სასუქების მსოფლიო მოხმარება


წელი	თანხა
2020	\$ 83,5 მილიარდი
2021	\$ 184.6 მილიარდი
2022	\$ 190.32 მილიარდი

დიაგრამა N6. სასუქის გლობალური ბაზარი წლების მიხედვით




ტიპის მიხედვით აგრო ქიმიკატებისა და სასუქების ბაზარი იყოფა ორგანულად და არაორგანულად. 2021 წელს არაორგანული სასუქების მსოფლიო მოხმარების წილი 92.7% შეადგენდა, რაც \$171.19 მილიარდი დოლარია.

დიაგრამა N7. სასუქის გლობალური ბაზრის წილი, ტიპების მიხედვით, 2021 წ



ხოლო ფორმის მიხედვით სასუქები დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილია ორი სახით: თხევადი და მყარი. ფორმის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით 82.3% მშრალი სასუქები გამოიყენება, რაც 2021 წლის მონაცემების მიხედვით 151,86 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მშრალი სასუქის ღირებულება უფრო ნაკლებია და გაცილებით მარტივი შესანახია (აქვთ გამოყენების უფრო ხანგრძლივი ვადა და გარემო პირობებზე ნაკლებად რეაგირებენ, როგორცაა მაგალითთან ცივი ამინდი).

დიაგრამა N8. სასუქის გლობალური ბაზრის წილი, ფორმის მიხედვით, 2021 წ




მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო პანდემია გამოაცხადა, რამაც მსოფლიოს მასშტაბით უამრავი ცვლილება გამოიწვია, მათ შორის დაწესდა გადაადგილების შეზღუდვები. პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა სხვადასხვა ქვეყნის ინდუსტრიების უმეტესობაზე. ხალხისა და საქონლის გადაადგილების შეზღუდვამ მრავალი გამოწვევა მოუტანა აგრო სასურსათო მიწოდების ქსელს, კერძოდ იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია სასუქებისა და აგრო ქიმიკატების გლობალურ ინდუსტრიაზე. მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის განცხადებით 2020 წლის 25 ივნისს სასუქის ფასები 2020 წლის მაისში 8,5%-ით შემცირდა. (<https://www.researchdive.com/6194/fertilizer-market>).

2021 წელს უმეტესი სასუქის ფასები გაიზარდა, განსაკუთრებით ფოსფატებისა და შარლოვანა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მაღალი მოთხოვნითა და მიწოდების მაღალი ფასებით. 2020 წლის პირველ კვარტალში კი სასუქის ფასების 30%-იანი ზრდა ფიქსირდება.

აღნიშნული ფასების ზრდა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით როგორცაა მიწოდების ხარჯების ზრდა, სანქციებით გამოწვეული მიწოდების შეფერხებები (ბელარუსია და რუსეთი) და ექსპორტის შეზღუდვები (ჩინეთი). მსოფლიო სასუქები ფასების დინამიკა წლების მიხედვით მოცემულია ნახაზ 2-ზე.

დიაგრამა N9. სასუქის ფასები




Note: DAP = diammonium phosphate. MOP = muriate of potash. Last observation is April 2022.  
Source: Bloomberg; World Bank.

2022 წელს სასუქების რეკორდული ფასები ფიქსირდება, რაც ბუნებრივ აირზე ფასების ზრდით არის განპირობებული.

სასუქებისა და აგრო ქიმიკატების მოხმარების მიხედვით 2019 წლის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილს ჩინეთი იკავებს, მას მოჰყვება ინდოეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, ინდონეზია, კანადა, პაკისტანი, რუსეთი, საფრანგეთი ვიეტნამი, ბანგლადეში, ავსტრალია, თურქეთი, უკრაინა და ტაილანდი.

დიაგრამა N10. სასუქების მოხმარება მსოფლიოში 2019 წელს, ქვეყნების მიხედვით (მილიონ მეტრულ ტონა საკვებ ნივთიერებებში)



სასუქებისა და აგრო ქიმიკატების მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილი სასუქის მწარმოებელი ქვეყნების საბაზრო ჯამური ღირებულება 157.47 მილიარდ დოლარს შეადგენს. მწარმოებელ ქვეყნებში ლიდერობენ კანადა, ავსტრალია, საუდის არაბეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, იზრაელი, ნიდერლანდები და ინდოეთი.

ცხრილი N15. მსოფლიოს მსხვილი სასუქის მწარმოებელი ქვეყნები

სახელი	საბაზრო ღირებულება მილიარდი აშშ დოლარი	ქვეყანა
1 Nutrien	45.37	კანადა
2 Wesfarmers	32.69	ავსტრალია
3 Saudi Arabian Fertilizer Company	18.01	საუდის არაბეთი
4 CF Industries	18.01	აშშ
5 The Mosaic Company	17.42	აშშ
6 Israel Chemicals	12.34	იზრაელი
7 OCI	6.90	ნიდერლანდები
8 Coromandel	3.54	ინდოეთი
9 Chambal Fertilisers	1.41	ინდოეთი
10 Intrepid Potash	0.63	აშშ
11 Rashtriya Chemicals and Fertilizers	0.54	ინდოეთი

12	National Fertilizers	0.25	ინდოეთი
13	Mangalore Chemicals and Fertilizers	0.16	ინდოეთი
14	Southern Petrochemical Industries Corp	0.12	ინდოეთი

## F. დასკვნა

2019-2021 წლების მონაცემების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ამ პერიოდში ადგილობრივი წარმოების სასუქების საბაზრო წილი სტაბილურად 50%-ზე მეტია, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გაყიდვების მოცულობის კლება დაკავშირებულია ზოგადად ბაზარზე არსებული მოხმარების შემცირებასთან, ასევე პროდუქტის საშუალო ღირებულება მზარდია. რაც შეეხება გაყიდული პროდუქტის მთლიან ღირებულებას, ეს ერთადერთი მიმართულებაა, სადაც ადგილობრივი ინდუსტრიისათვის უარყოფითი ტენდენცია იკვეთება. 2020-2021 წლებმა პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 22%-მდე შემცირებული, მაშინ როდესაც იმპორტის შესაბამისი მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს. აღნიშნული სხვაობა, ნაწილობრივ იმპორტირებული საქონლის ღირებულების მკვეთრი ზრდით არის განპირობებული. მიუხედავად 2020-2021 წლების კლებისა, ადგილობრივი ბაზარზე პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი, აღემატება 2019 წლის მონაცემებს, რაც სექტორში დადებითი დინამიკის მაჩვენებელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასუქების მთლიანი ბაზრის ზრდის/კლების, იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების საბაზრო წილების ცვლილების ტენდენციების, ფასების განვითარებისა და შედარების, და ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობისა და ექსპორტის დინამიკის ზოგადი შეფასების საფუძველზე, სასუქების ბაზრის მონიტორინგის პროცესში, ბაზარზე იმპორტით გამოწვეული ზიანი ან ზიანის საფრთხე არ ვლინდება.